

კომენტარი

„საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020“ დოკუმენტზე

ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროების მიერ შემუშავებული დოკუმენტი „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020“ წარმოადგენს მისასაღმებელ მცდელობას, რომ ჩამოყალიბდეს არგუმენტირებული, პროფესიულად და მეთოდურად გამართული სტრატეგიული დოკუმენტი რომელიც განსაზღვრავს საქართველოს განვითარების გეგმებს 2020 წლამდე. ამ თვალსაზრისით უდაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯია წინ გადადგმული და დოკუმენტში ბევრი სწორი შეფასება, ხედვა და პოლიტიკის მიმართულება არის ჩადებული. სტრატეგიის პორექტი შეიცავს მართებულ განაცხადებს ევროპული არჩევნის და მისი თანამდევი გამჭვირვალობის და საბაზრო პრინციპების, ეფექტური მმართველობის, მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესების, ევროპული კანონმდებლობის პრინციპების დანერგვის შესახებ და ა.შ. რაც ძალზე მნიშვნელოვანია ენერგეტიკისათვის. თუმცა, ქვემოთ ამ დადებითი მხარეების დეტალიზაციას არ დავიწყებთ, ხოლო ყურადღებას ძირითადად გავამახვილებთ დოკუმენტის ენერგეტიკულ ნაწილის ნაკვანებებს რომელთა გამოსწორებაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მის საბოლოო ხარისხს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ენერგეტიკულ ნაწილის ხარვეზები ძირითადად განპირობებულია ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის და ენერგეტიკული სტრატეგიის არქონით, რაც მხოლოდ ამ დოკუმენტის ავტორებს ვერ მიეწერება.

შენიშვნები - ენერგეტიკულ საკითხებზე

1. დოკუმენტში არ არის სრულად განმარტებული ენერგეტიკული უსაფრთხოება და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში; ენერგეტიკული უსაფრთხოება, გარდა ენერგოეფექტურობის, საიმედო ინფრასტრუქტურის, შიდა რესურსების ათვისების, იმპორტის წყაროებისა და გზების დივერსიფიკაციისა, სწორი ფასების პოლიტიკის გატარებასაც გულისხმობს, რაც გავლენას იქონიებს ეკონომიკურ განვითარებაზეც;
2. დოკუმენტის სათაურიდან გამომდინარე, სასურველია მოკლედ მაინც განხილულ იქნას ენერგეტიკული ტარიფების და სოციალური პრობლემემატიკი ურთიერთმიმართება. ჯანსაღი ეკონომიკური განვითარების წინაპირობა გრძელვადიან ხარჯებზე დამყარებული გამჭვირვალე სამომხმარებლო ფასების პოლიტიკის ეფექტიანი გატარებაა და არა ტარიფის სუბსიდირების საშუალებით სოციალური პრობლემების მოგვარების მცდელობა, რაც სრულიად

კონტროლდუქტიულია; შესაბამისი დებულების ჩასმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა ამ მხრივ საზოგადოებრივი მიდგომის გაჯანსაღებისაკენ;

- ენერგეტიკული საკითხების განხილვისას ძირითადი აქცენტი სამართლიანად არის გაკეთებული ელექტროენერგეტიკაზე, მაგრამ, ამავე დროს, არასაკმარისი ყურადღება ეთმობა ტრადიციული (ნავთობი, გაზი, ქვანახშირი) და არატრადიციული (ქვანახშირის საბადოს გაზი, ფიქლის გაზი) წიაღისეული სათბობის დაძიების, მოპოვების და გამოყენების საკითხებს, რამაც უნდა მნიშვნელოვანი წილი შეიტანოს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებასა და ეკონომიკურ განვითარებაში.

მათ შორის საქართველოს ქვანახშირის მარაგები მიუხედავად იმისა, რომ გადაცემულია კერძო კომპანიისათვის, წარმოადგენს საქართველოს მნიშვნელოვან ენერგეტიკულ რესურსს, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი წილის შეტანა ქვეყნის ენერგეტიკასა და ეკონომიკაში და შესაბამისად უნდა მოცული იყოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიით;

- დოკუმენტში გათვალისწინებულია გლობალური დათბობის ეკონომიკაზე ზეგავლენის მაკომპენსირებელი ღონისძიებების შემუშავება. სასურველია ასევე ნახსენები იყოს ენერგეტიკაზე უარყოფითი ზეგავლენის შეფასების საჭიროება, ვინაიდან ჰიდრო გენერაციას განსაზღვრავს მდინარეთა ჰიდროლოგიური რეჟიმები, რაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს გლობალური დათბობის კვალობაზე. ამიტომ ჰიდროენერგეტიკის პრიორიტეტით დაგეგმილი ენერგეტიკული სტრატეგია აუცილებლად უნდა ითვქვასწინებდეს ამ მნიშვნელოვან გარემოებას. ამასთან ერთად, სავარაუდოდ გაიზრდება გაგრილების დატვირთვა, რაც შეცვლის ელექტროენერჯის მოხმარების სეზონურ ხასიათს.

- დოკუმენტში მხოლოდ მოკლედ არის განხილული ენერგოეფექტურობის საკითხი, ამავე დროს, თუმცა ნახსენებია არასაკმარისი ყურადღება ეთმობა განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისებას და შესაბამისი ტექნოლოგიების გადმოცემას, განვითარებას და დანერგვას, რაც, ამავე დროს, ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი ფაქტორია;

- სტრატეგიაში სათანადო ყურადღება არა აქვს დათმობილი ტყის მერქნულ რესურსს, რომელიც ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ენერჯის წყაროს წარმოადგენს. სხვადასხვა შეფასებებით ენერჯის მოცულობით საქართველოს ენერგეტიკულ ბალანსში შეშას დაახლოებით ისეთივე წვლილი შეაქვს, როგორც მთელ ჰიდროენერგეტიკას. ამიტომ სატყეო პოლიტიკის და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების განხილვისას აუცილებელია ტყის, როგორც უმნიშვნელოვანესი ენერგეტიკულ რესურსის როლის სრულფასოვანი გათვალისწინება; მდგრადი განვითარების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ასევე მნიშვნელოვანია ამ რესურსის მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება. ტექნოლოგიური და ეკონომიკური განვითარების საგანი შეიძლება გახდეს თანამედროვე მერქნული სათბობის სახეების, როგორცაა: ნაფოტის, ჰელექტების და ბრიკეტების დამზადება რაც საერთაშორისო კონკურენტუნარიანი პროდუქტია, ასევე სასოფლო სამეურნეო ნარჩენების (ნაჭუჭი, ნახერხი..) გამოყენება.

ასევე გასათვალისწინებელია შესაბამისი მაღალეფექტური და მაღალტექნოლოგიური ღუმელების დანერგვა.

7. გასასწორებელია მცირე მაგრამ პრინციპული უზუსტობები,
 - a. ელექტროენერჯის და გაზის ტარიფების შეფასება, როგორც მაღალისა და თანაც იმპორტზე დამოკიდებულების გამო, პრინციპულად არასწორია და შესაძლოა მცდარი პოლიტიკური გადაწყვეტილებებამდე მიგვიყვანოს
 - b. ასევე დასაზუსტებელია დებულება დისტრიბუციის ბაზარზე კონკურენციის შესახებ. კონკურენცია მიზანშეწონილი და მიღებულია ენერჯის საცალო გაყიდვების (მიწოდება-დარიცხვა-გადახდა) და არა დისტრიბუციის (ქსელის ფლობა და ოპერირება) სფეროში. ეს უკანასკნელი ბუნებრივ მონოპოლიურ და რეგულირებად საქმიანობას წარმოადგენს.
8. მისასაღმებელია კონკურენციის განვითარების და მარეგულირებელი ორგანოს გაძლიერების, ასევე, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების საჭიროების ხაზგასმა, რაც აგრეთვე არის ევროინტეგრაციის ერთერთი მოთხოვნა. ამ მიმართულებით დებულებები კიდევ უნდა გაძლიერდეს და აუცილებლად უნდა განხორციელდეს ცვლილებები როგორც ელექტროენერჯეტიკის ასევე გაზის სექტორში და არა მხოლოდ ერთი GEMM-2015 პროგრამის ფარგლებში.
9. ელექტროენერჯის გენერაციის პროგნოზი ზედმეტად ოპტიმისტურია, ვინაიდან ის გულისხმობს წარმოების 18 ტერავატ საათამდე ზრდას 2020 წლამდე და, ამავდროულად, იმპორტის მოცულობის შემცირებას. ამ შემთხვევაში, თუნდაც ზაფხულის ჭარბი გამომუშავების ათვისების და ახალი 230 მგვტ თბოსადგურის აშენების პირობებშიც კი, სავარაუდოდ სულ მცირე 1300-1500 მეგავატი ახალი ჰიდროგენერაციის სიმძლავრეების დამატება იქნება საჭირო, რისი განხორციელებასაც მომავალი 6 წლის განმავლობაში მეტად არარეალისტურია ტექნიკურ-ორგანიზაციული თვალსაზრისით და ამავდროს ძლიერ დამოკიდებულია გარე ბაზრებზე. ჩვენი გათვლებით, დაგეგმილი აგრესიული ზრდის პირობებში, საქართველოს მოთხოვნა ელექტროენერჯიაზე, 2020 წლისთვის დაახლოებით 14 ტერავატსათი იქნება, რაც ენერჯეტიკისგან ისედაც სერიოზულ ზრდას მოითხოვს. აღნიშნული გარემოების გამო მიზანშეწონილია შესწორდეს და ელექტროენერჯის წარმოების პროგნოზი და მოხდეს მისი გათვლები დაგეგმვის საფუძვლიანი ანალიტიკური მოდელების და მეთოდების გამოყენებით.

ზოგადი შენიშვნები

1. მსოფლიოს ინოვაციურ-ტექნოლოგიური განვითარება მიმდინარეობს ექსპონენციალურად მზარდი ტემპით, ამიტომ სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს ინოვაციური ტექნოლოგიური განვითარების შესაძლო სცენარებს და ქვეყანა მოემზადოს რომ ამ სცენარებიდან მაქსიმალური სარგებელის მისაღებად.

2. ჩვენი შეფასებით, მოყვანილი მშპ-ს ზრდის ტემპი შეესაბამება 7-8%-იან რეალურ ზრდას, რაც მეტად ოპტიმისტურად გამოიყურება.
3. მისასაღმებელია ეფექტიანი მმართველობის, პროფესიული ადამიანური რესურსების და კვალიფიციური კადრების მოზიდვის საჭიროების საკითხის წამოწევა, რაც სერიოზულად აფერხებს სხვადასხვა დარგის, და კერძოდ, ენერჯეტიკის განვითარებას.
4. სასურველია მდგრადი განვითარების პოლიტიკის საკითხების უფრო სიღრმისეული ანალიზი, რათა შესაბამისი პოლიტიკა სახელმწიფომ ჩამოაყალიბოს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მოთხოვნების, საგარეო და საშინაო პოლიტიკური გამოწვევების გათვალისწინებით.
5. კარგი იქნება თუ ეროვნული განვითარების საბჭო მოახდენს არა მხოლოდ ამ სტრატეგიის, არამედ სხვა სტრატეგიების კოორდინირებას და სტრატეგიებს შორის ურთიერთმიმართებას გაითვალისწინებს.
6. საზოგადოდ, მიგვაჩნია რომ როგორც ეკონომიკის ასევე ენერჯეტიკის განვითარების სტრატეგიები, უმჯობესია ემყარებოდეს არა აგრესიული ზრდის და შესაბამისად მაღალრისკიან სცენარებს არამედ უფრო რეალისტურ და განხორციელებად საშუალო ზრდის სცენარებს.

WEG

www.weg.ge